საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდარიშვილი არნოლდ გალაქტიონის ძე

კალანდარიშვილი არნოლდ გალაქტიონის ძე (1. III. 1939, თბილისი, – 6. I. 2012, მოსკოვი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1989). 1962 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1962–93 მუშაობდა სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინ=ტში, ხელმძღვანელობდა სამეცნ.- კვლ. ლაბორატორიას. 1990-იდან მუშაობდა მოსკოვში კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ინ-ტში გენ. დირექტორის მოადგილედ. კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება კოსმოსური საფრენი აპარატების თერმოემისიური რეაქტორ-გარდამქმნელების ფიზიკას. 1971–87 შესრულებულ სამუშაოთა ციკლისთვის – „თერმოემისიური გარდამქმნელების მასალათა თვისებების კვლევა" – მიენიჭა (1989; მეცნიერთა ჯგუფთან ერთად) საქართვ. სახელმწ. პრემია.

თხზ.: Источники рабочего тела для термоэмиссионных преобразователей энергии, М., 1986; Рабочие процессы в термоэмиссионных установках, М., 2001 (თანაავტ.: А. Г. Квасников, В. З. Каибищев); Working Medium Sources of the Thermoionic Power Converters, Ohio, 1993.